

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტ.აროშიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 26 თებერვალი

სოფელი კონჭკათი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია -საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ტ.აროშიძე არის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ტარიელ აროშიძემ, საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ტ.აროშიძე არის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, გამოთქვამს აზრს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომ გადასაწყვეტ პრობლემებზე, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო